№ 10 (1308) მაისი 1969

ნიანგი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივნისი
ბავშვთა დაცვის
საერთაშორისო დღეა!

მუვიდოგის უძლეველი არმია

ნახ. გაგია გალაგანიასი

დიდება შენდა, დედოფალო!

დებიუტი

პირველივე სვლით დიდებას
ვამბობ დედოფალ ნონასი!
სულ გამარჯვება ფარავდეს
დაძაბულ ორთაბრძოლაში!
იყო პატარა პაიკი —
შეუმჩნეველი თვალითაც —
და მსოფლიოში დედოფლად
თბილისის გავლით გავიდა.
ჭადრაკის ეტლით პლანეტას
მან სამჯერ შემოუარა!
თქვას საჭადრაკო სამყარომ:
ეს გმირობაა თუ არა?
თუმც სტარტზე წაიბორძიკა,
შემოგვასია იქვები,
მერე ალასთან ალავერდს
გადადიოდა ქიშებით.
თორმეტჯერ გადაიხადა
დაფაზე ომი ფიცხელი,
უტევდნენ ნონას „ტურები“
სულ „სისატურას“ სიმდერით.
ჩემპიონობა გახამდა!
სამებამ ცაში აზიდა...
ისწავლა ტახტის დაპყრობა
მან ვახტანგ ქარსელაძიდან.
„მატჩი აქ უნდა მოეგო!“ —
ვიფიქრე, როცა დავფიქრდი.
სამეგრელოდან მოსკოვში
რას მიფრინავდა დაფნისთვის?

მეგობრული შარჟი ბ. ხირვალაკისი

მიტელშპილი

პეტროსიანმა ტიგრანმაც
სტარტი აიღო თბილისში,
ჭადრაკის მეფედ ეკურთხა,
ალბათ, აქ გაზრდის შვილიშვილს!
მსოფლიოს მომავალშიაც
მსგავს ჩემპიონებს ვუზრდიდეთ! —
ეს უნდა ყველა თბილისელს,
ერევნელსა თუ ზუგდიდელს!

ენდშპილი

ჩვილებს ქართველი დედები
(ახლა გაგიმხელთ ამასაც):
დღეს, „ივნანას“ მაგივრად,
უმღერენ „ნონა-ნანასა“.
ოთხი წლის შემდეგ ექნებათ
„დუელი“ ნონა-ნანასა! —
ჭადრაკის მოყვარულებო,
ამას გილოცავთ ავანსად!

კიდევ უნდოდა ნიანგსა
ეთქვა, რაც ზემოთ გამორჩა,
მაგრამ ფურცლები არ ეყო,
და ცაიტნოტში აღმოჩნდა.

გათუ ჟელია

მთელი მსოფლიოს ბავშვთა ბრძანება № 1

ყველა შეიარაღებული და შეუიარაღებელი ძალებისადმი

ვბრძანებთ: დღეიდან მზის სხივებს
ემატოს ცხოველმყოფლობა,
გაუქმდეს ქვეყნად სისხლისღვრით
გამოწვეული ობლობა!
ომს ომი გამოეცხადოს,
ბიძგის მიმცემი გაუქრეს,
აგრესიული ბლოკები
აიკრძალოს და გაუქმდეს!
ამიერიდან ატომი
მშვიდობის საქმეს მოხმარდეს,
წყალბადის ბომბის მოსპობაც
მოგვხსენდეს, როცა მოგვარდეს!
დღეიდან ბავშვებს მშვიდობა
და ძილი არვინ დაგვიფრთხოს,
ხანძრების ნაცვლად, აკვნები
დედების სუნთქვამ გაგვითბოს!
ობი და ნესტი დაბუდდეს,
დენთსა და ტყვია-წამალში,
ბავშვებს დაუთმონ დიდებმა
ეს „ომობანას“ თამაში!
აწი ვერავინ გაბედოს
ჩვენი მშობლების ხელყოფა!
ზოგჯერ რომ თვითონ ჩხუბობენ,
ჩვენ, ბავშვებს, ისიც გვეყოფა!
მოისპოს ცეცხლთან თამაში,
რომ ხანძრად არსად აენთოს,
ვინც ვერ მოიშლის, ნებას ვრთავთ,
„აჩუ-აჩუთი“ გაერთოს!
ჩვენი ბრძანება ეცნობოს
ყველა ნაწილს და დანაყოფს,
ყველაზე საშიშ ქვეყნების
საკრებულოს და სალაყბოს.
განსაკუთრებით — ბუნდესვერს,
ნატოს, სენტოს და სეატოს,
ვისაც კი კაცმა ოდნავი
ომის ფსიქოზი შეატყოს!
ეცნობოს ყველა კონტინენტს,
გაიკრას ყოველ ქალაქში,
რომ ეს ბრძანება უცვლელად
დღეიდან შედის ძალაში!

ბრძანების ტექსტი ჩაიბარე
გრიგოლ ჩიქვილაძემ

პატარა უფლისწულის გასაჭირი

იმაზე, თუ როგორ ტანჯავენ ჩვეულებრივ ბავშვებს ზოგიერთი მშობლები, საკმაოდ ითქვა „ნიანგის“ ამ ნომერში. ჩვენ შევეხებით მეორე უკიდურესობას — ბავშვის ესთეტიკურ აღზრდას — სახვით ხელოვნებას.

ყური დავუგდოთ სენტ ეკზიუპერის პატარა უფლისწულს: „მახსოვს, პირველად სპილოგადაყლაპული მახრჩობელა გველი დავხატე და გახარებულმა უფროსებს მივურბენინე.

— რა არის ეს? — ვკითხე მე.

— შლიაპა. — გულგრილად მიპასუხეს.

— შლიაპა კი არა, სპილოგადაყლაპული მახრჩობელა გველია.

უფროსებმა გადაიხარხარეს.

— ვის გაუგია, რომ მახრჩობელა გველს სპილო გადაეყლაპოს?! — თქვეს მათ.

რა მიუხვედრელი და უგულო ხალხია ეს უფროსები, — ვფიქრობდი ჩემთვის გულდაწყვეტილი, — განა მე უკეთ არ ვიცი, რა დავხატე?“

ამ შემთხვევაში პატარა უფლისწულის სახელით მილიონობით გულდაწყვეტილი ბავშვი ლაპარაკობს და ამის მიზეზი ხშირად ჩვენ, დიდები, ვართ. სამწუხაროდ, ზოგიერთ მშობელს ხატვა — ჯღაბნა ჰგონია და ავიწყდება, რომ ბავშვის მიერ გარემო სამყაროს პირველი გააზრებული აღქმა ნახატით ხდება. ეს არის მისი უშუალო განცდებით დანახული სამყარო და ამიტომაა, რომ ბავშვობაში მიყენებული ტკივილი მთელ სიცოცხლეს გაჰყვება ხოლმე ადამიანს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ჩვენში აღტაცებას იწვევს პირველყოფილი ადამიანის კლდის ნახატები, უპირველესყოვლისა, გვაოცებს არა ნახატის შესრულების ხარისხი, არამედ ის უშუალობა, ის ხედვა, რაც იმ პერიოდის ადამიანს ახასიათებდა. ნათქვამია, მუნჯის ენა დედამ იცისო, მაგრამ ზოგჯერ დედები მუნჯის როლში გამოდიან, ხოლო „პატარა უფლისწულები“ საყვედურებით გვავსებენ. მაგრამ ეს სანახევრო ცოდვაა.

ბევრგან არა გვყავს კვალიფიციური და გემოვნებიანი მასწავლებლები. ამის მიზეზია, რომ ბავშვთა ნახატების რესპუბლიკურ თუ საქალაქო დათვალიერებებზე დაბალი გემოვნების, გადმოხატული, სახაზავით შესრულებული ნამუშევრები გვხვდება. ამას ემატება შესატყვისი სახელმძღვანელოებისა და სახატავი საშუალებების უქონლობა. ძნელად თუ იშოვით სახატავ რვეულებს, ფურცლებს. დაფებსა და ფერად ცარცებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. არ არის ხელმისაწვდომად ზეთისა და აკვარელის საღებავი. დიდი ხანია, დახლებიდან გაჰქრა ფუნჯები. სწავლება მიმდინარეობს დრომოჭმული მეთოდით. სიახლე კი ბევრია. ავიღოთ, თუნდაც, ესტონეთის რესუბლიკის მაგალითი, სადაც ტომას ლეპისკუასმა მასწავლებელთა გადამზადების ახალი სისტემით სასწაულები მოახდინა სახვითი ხელოვნების სკოლებში სწავლების საკითხში.

მართალია, ჟურნალები „დილა“ და „პიონერი“ სისტემატურად ბეჭდავენ ბავშვთა ნახატებსა და სხვადასხვა წერილებით პოპულარიზაციას უწევენ ხელოვნებას, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. კარგ და მისასალმებელ საქმიანობას ეწევა პიონერთა სასახლე და განათლების სამინისტროსთან არსებული ესთეტიკური აღზრდის კაბინეტი, რომელთა მიერ შეგროვებული ნახატების ფონდიდან ზოგიერთს ჟურნალის ამ ნომერში ვბეჭდავთ. უკანასკნელ პერიოდში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქ. სსრ ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა განყოფილებაც.

დაბოლოს, გერმანელი მეცნიერის — პროფ. ვეისმანტელის სიტყვებით მინდა დავამთავრო პატარა უფლისწულის პატარა წერილი. ეს სიტყვები პროფესორმა ესთეტიკური აღზრდისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესზე წარმოთქვა ჟენევაში:

„ბავშვის შემოქმედებითი ფარული ძალების გაღვიძება და სწორი გზით წარმართვა გაცილებით მეტ შედეგს მოიტანს, ვიდრე ატომის დაშლის აღმოჩენა. ეს ძალები იხსნიან ატომის საუკუნეს და ამ „ჯადოქარს მოათვინიერებენ“.

გუგა მიქაძე,
მხატვართა კავშირთან არსებული ესთეტიკური აღზრდის კომისიის თავმჯდომარე.

ბურთი თუ გრამატიკა

. რა კაცი დადგება დათუნია ბუთსუზი, ჯერ ისე საეჭვოა, როგორც ლატარეაში „ვოლგის“ შოგება. დათუნა მხოლოდ სამი წლისაა და თავისი ასაკის შესაფერისად იქცევა: ამტვრევს ყველაფერს, რასაც მოიხელთებს; იცინის უმიზეზოდ; ასევე უმიზეზოდ ტირის; დაჟინებით მოითხოვს ტკბილეულსა და სათამაშოებს; ვერ იზეპირებს ლექსებს...

დათუნიას მამა — სოკრატე, სულ ცოტა ხნის წინათ, სკეპტიკურადაც კი უყურებდა შვილის ინტელექტუალურ მონაცემებს, მაგრამ ერთმა უბრალო შემთხვევამ დაარწმუნა, რომ მის მემკვიდრეს გენიოსობა გარანტირებული აქვს.

იმ ბედნიერ დღეს სოკრატეს სკოლის ამხანაგები — მიტო და დიტო ესტუმრნენ. ორივენი ენათმეცნიერებაში ეძებდნენ საძიებელ ხარისხს. არც დათუნია იყო უსაქმოდ, ეძებდა გასაფუჭებელ ობიექტს და იპოვნა კიდეც: რძით სავსე ფინჯანი შენიშნა, მაგიდაზე სწრაფად გადმოაპირქვავა და დანაშაული რომ დაეფარა, დედას შეეკითხა: „რძე დაიქცა?“

ეს იყო და ეს. მიტომ და დიტომ ერთმანეთს სათვალე სათვალეში გაუყარეს და გაკვირვებისაგან პირი დააღეს.

— რამდენი წლისაა? — იკითხა მიტომ.

— სამის, — უპასუხა სოკრატეს მეუღლემ.

— სამის?! — იყვირა გაოცებულმა დიტომ, — ეს შეუძლებელია! სამისაა და ასე შესანიშნავად ერკვევა გრამატიკაში?

— რაშია საქმე? — დაეჭვდა სოკრატე.

— როგორ?! ვერ დააკვირდით?! — ჩაერია მიტო, — ბავშვმა რომ იკითხა, რძე დაიქცაო, ვერ შენიშნეთ, კითხვის მახვილი მაინცადამაინც შემასმენელზე რომ დასვა? ე. ი. დათუნიამ იცის, რომ კითხვით წინადადებაში კითხვის მახვილი, ჩვეულებრივ, მოდის შემასმენელზე, რომლის უკანასკნელი ხმოვანიც რამდენადმე გაგრძელებულად წარმოითქმის.

— უჰ, მაგი რაა, უარესები უთქვამს, — ვეღარ დამალა სიხარული დათუნიას დედამ — ანუ სოკრატეს მეუღლემ და იგივე პლატონის რძალმა — ადეოლაიდამ.

ოთახში, სადაც დათუნიას გრამატიკულ ნიჭზე მსჯელობდნენ, თვით დათუნია შემობაჯბაჯდა, თავზე სოკრატეს ქუდი დაეხურა, ხელში გაბერილი ბუშტი ეჭირა, უკან სოკრატეს მამა — პლატონი მოსდევდა.

— ვისია ეგ ქუდი? — ფრთხილად დაუსვა კითხვა მიტომ.

— მამაჩემისაა! — უპასუხა დათუნიამ.

— ბუშტი ვინ გიყიდა?

— დედამ მიყიდა!

დათუნიას მოწყინდა ამდენი კითხვები, მიტოს ენა გამოუყო, დაეჭყანა და გაიქცა.

— ახლა კი ნამდვილად გადავირევი! — გადარეულივით წამოიძახა მიტომ.

— ბავშვი დღესვე გაასინჯეთ ფსიქიატრს! — იმავე ტონში დაამატა დიტომ.

— ბავშვი კი არა, გენიოსი გყოლიათ ოჯახში! — უკვე პათეტიკურად წარმოთქვა მიტომ.

— ახლავე გეტყვით, ვისთან გვაქვს საქმე! — არ ჩამორჩა მიტოს დიტო.

— შენ და მამაშენს სოკრატე და პლატონი უნდა გერქვათ და ამ ტვინით გატენილ ბავშვს დათუნია?! — გესლიანად ჩაუჩურჩულა ადეოლაიდამ სოკრატეს, — ხვალვე მმაჩში მიმყავს ბავშვი და სახელი უნდა გამოვუცვალო, ისე არც გვარი მომწონს, მაინცდამაინც.

დიტო კი არ ცხრებოდა:

— ბავშვმა იცის ბრუნვები და მისი ნიშნები, დ ე დ ა მ მ ი ყ ი დ ა ო, ქ უ დ ი მ ა მ ა ჩ ე მ ი ს ა ა; დ ე დ ა-მ, ქ უ დ-ი და მ ა მ ა-ჩ ე მ-ის შესაბამისად მოთხრობით, სახელობითსა და მიცემით ბრუნვებშია.

— მოიცა, მოიცა! — შეაჩერა მიტომ დიტო, სხვას ვერაფერს ამჩნევ?! მართალი გითხრა, პირადად მე ბავშვის ქცევა, კილო და პირიანობა არ მომწონს, მაგრამ ბავშვმა იცის ზმნის ქცევა, პირიანობა, კილო, დრო, ასპექტი, რიცხვი, კონტაქტი, უღლება, გარდამავლობა...

— არა და არა! — პირდაპირ პირიდან გამოაცალა სიტყვა დიტომ თავის კოლეგასა და მეგობარს. — სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ ბავშვთან სერიოზულ მუშაობას. რის ბურთი და ბუშტი, რის სათამაშოები, რის დროს ფუქსავატური დაკარგვა, რადგან ჩვენს ხელში ჩავარდა, აწი ჩვენ ვიცით და მაგან!

ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დათუნიას კი ხელში მაკრატელი ეჭირა და ბაზიდან დიდი პროტექციით გამოტანილ ფარდებს „ეთამაშებოდა“.

გარი მეტრეველი.

ჯერ ბავშვია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლობს გიგლა ტიტინა, მზემ შემოუბვრიტინა.
— გიგლავ, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა!
გამო, გაითამაშე, გარეთ გეტყვი დანარჩენს!
მადლობელი ვარ, მზეო, რომ მეუბნები ამას!
ნეტავ, შენ იყო დედა და მთვარე იყოს მამა!
ვინ მაძლევს გავლის ნებას? არა, არ შეიძლება!
ახლა პირველი არის, ინგლისური მაქვს ორზე,
უნდა გავშიფრო მერე რთული ანბანი მორზეს.
არ გიგდებ სიტყვას ბანზე—გერმანული მაქვს სამზე.
ოთხზე ვეწვიო უნდა სასწავლო-სპორტულ ბაზებს;
რომ ვისადილო უცებ, შინ უნდა ვიყო ხუთზე...
და ნახევარზე ექვსის—ცეკვა-სიმღერის წრეში.
მამა მიკითხავს ექვსზე თავის საკუთარ ლექსებს.
ზუსტად საათის შვიდზე, ისევ აქ უნდა ვიჯდე.
რვის ნახევარზე მუდამ რვა წუთს ვატარებ ბურთთან.
მერე კი, ალბათ, იცი, დედა მაგალითს მიხსნის.
დაახლოებით რვაზე ვისმენ უცხოურ ჯაზებს.
ცხრის თხუთმეტ წუთზე ვუკრავ ნოტებით პიანინოს.
თუ ნება დამრთეს, ცხრაზე უნდა ვუყურო კინოს.
მერე ქართული ენის დაუფლებასაც ვცდილობ.
თორმეტზე ვწვები, მზეო, შენს ამოსვლამდე მძინავს
და ერთ-ორ საათს ძილშიც ესპანურს ვსწავლობ ხშირად.
თუ დამესიზმრა რამე, ვზეპირობ გაკვეთილად.
რომ შესრულდება ექვსი, „ა ბ ა, წ ა მ ო ხ ტ ი!“ — მესმის.
ვდგები, ვიბან და ვიცვამ, რეჟიმს ვკითხულობ დღისას.
ჯერ არ მივდივარ არსად და ვიმეორებ ნასწავლს.
რომ გამომკითხავს დედა, თუ ვუპასუხე სწორად,
შემაჭმევს ერბოკვერცხს და ვეწვევი ძვირფას სკოლას.
მერე, მზიანი დღეა, თოვლი არის თუ ყინვა,
ვემშვიდობები სკოლას და, როგორც ხედავ, შინ ვარ..

* * *

მ ზ ე მ მ ო უ ს მ ი ნ ა გ ი გ ლ ა ს დ ა
გ ა დ ა კ ე თ დ ა წ ი გ ნ ა დ...

თქვენი თვალებით

რ ა დ გ ა ნ ა ც ჩ ვ ე ნ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს
ე ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს ხ ა რ თ, ბ ა ვ შ ვ ე ბ ი,
„ნ ი ა ნ გ მ ა“ გ ა მ ო ი ტ ა ნ ა
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ა ს ე თ ი:

უ ვ ე ლ ა დ ღ ე თ ქ ვ ე ნ ი დ ა ც ვ ი ს დ ღ ე დ
გ ა მ ო ა ც ხ ა დ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ,
მ ე რ ე ა დ გ ა დ ა, ს ა მ ყ ა რ ო ს
შ ე ხ ვ დ ა თ ქ ვ ე ნ ი თ ვ ა ლ ე ბ ი თ!

ა ქ რ ა ს ა ც ხ ე დ ა ვ თ, პ ა ტ ა რ ა
გ ო რ ე ლ მ ა ბ ი ჭ მ ა დ ა ხ ტ ა:
მ ო ს კ ო ვ ი, კ რ ე მ ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს
მ შ ვ ი დ ო ბ ა ს უ დ გ ა ს ტ ა ხ ტ ა დ ა.

„დ ი დ ე ბ ა წ ი თ ე ლ მ ო ე დ ა ნ ს —
ო მ ე გ ი ს ს ა ნ დ ო მ ე ხ ა მ რ ი დ ს!“ —
ა მ ბ ო ბ ს კ ა ხ ა ძ ე კ ა ხ ა დ ა
ნ ა თ ე ლ მ ო მ ა ვ ა ლ ს შ ე ჰ ხ ვ ა რ ი ს.

ნახ. ბუბა ბალიოსანისა

— არ გაგიგია, ვერ, ალბად ბაკურს ბაკურა და ტრი?
— თბილისში ალბა ამ ერ ალ ერ, ბაბუალი ბაბუალეს.

ნახ. ბ. ფუფუნაიშვილისა

ჯიგრო



ნახ. ბ. ბაბუალეს

— ეს ბეჭედი, ჩემო ბატონო, აქ ფილიალს ნახავ ფლოსა ასაკადაც არ ვამლაგებ!

— სამეანეზე აკ ბანაბოს ბიეიეა, ფალიანსეზე — ეიმანზ.ბა-ბიანზე — ჯეეს, — ეიოლეა ბარ, ოიანანდ ბანიეი ბანიეა ბიეიეა!

ეროვნულ ბიბლიოთეკა

გადაქეთებული საბავშვო ლექსები

ორმაგ ფასს რომ მახდევინებ,
თან გაჭყლეტილ ნაყინს ეძებ,
ნეტავი, რა დაგიშავე,
მენაყინე ძია სესე?!

* * *

გიო დგას აბაზანაში
და ეკითხება ლიას:
— რატომ თ ბ ი ლ წყალს არ
გვაწვდიან,
აკი თ ბ ი ლ ი ი ჰქვია?
ლია ცოტა ხნით ფიქრდება
და უპასუხებს გიოს:
ცივს რომ გვაწვდიან, ამაზეც
დიდი მადლობა თქვიო!

* * *

— ბიჭო, ბიჭო, მაგელანო!
— რაო, ბებია მელანო?!
— გაკვეთილი მოამზადე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ბურთს წაგართმევ ბურთულასა,
რომ თამაშობ ჩუმ-ჩუმადა.
რასაც შვრები, დანაჩრენსა
ჩაგუკაკლავ წვრილ-წვრილადა
დედაშენს და მამაშენსა
და ელოდე განაჩენსა!

ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...
ბავშვთა ბაგის საჭმელი
ა რ-ბ ვ ი ნ-დ ა!

* * *

გაზაფხულდა, კაკლის ძირას
გაშოგილა ძია გიგო.
ზარმაცი და უქნარაა,
ბავშვობაშიც ასე იყო.

* * *

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
სარეველები რომ გეჭამენ,
არვის აწუხებს განაო?

* * *

ზურას დედას ნორკის ქურქით
ტანი დაუმშვენებია.
ზურას მამას ხალტურითა
სახლი აუშენებია.

შეიღმა მამა გალახა,
რომ არ ჭამა „კისელი“.
— არ გრცხვენია, შვილიკო,
დედასავით იქცევი?!

* * *

გერმანული, ინგლისური,
ფრანგული და ესპერანტი, —
ყველა ჩვენი სასწავლია,
საყვარელო ბებო ნატო!

* * *

ენკი, ბენკელი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...
ბილეთები ცირკისა
გ ა-ძ ვ ი რ-დ ა!

* * *

— გამყიდველო ცანგალავ,
ვის ატყუებ, ვისა?
— შენ გატყუებ, პატარავ,
მოვატყუებ დიდსაც!

ჰაუ, ჰაუ, მძღოლო, ნუ ჰქრი
ჩვენს უბანში დილ-დილასო,
უფიენია ნუ აყვირებ
მაგ სანაგვე პიპინასო!

* * *

მამა სახლში შემოვიდა —
მთვრალი, მთვრალი, მთვრალი—
მთელი ღამე ღრიალებდა,
ვერ მოვუფეთ თვალი.

* * *

ბები, ჩემო ტკბილო ბები,
აგრეთვე გენაცვლები!
ნუ ჩამოხვალ, თორემ დედას
შ ე მ ო ე ლ ა ხ ვ ბ ი!

ნორჩების დავალებით ბათუ მელია

ლექსიკონი

სამშობიარო სახლი — ადგილი, საიდანაც ყველა პროფესიის კაცი გამოდის.

საბავშვო ბაღი — უმაღლეს სასწავლებელსავით ძნელად მოსაწყობი სკოლამდელი ასაკის დაწესებულება.

„**ს ო ს ი კ ა**“ — ღვინის ბოცის საცობი.

ს ა თ ა მ ა შ ო — გასართობი ბავშვთათვის და არა სათამაშოების ფაბრიკისათვის.

კ ა ნ ფ ე ტ ი — პირველი ქრთამი.

ვუნდერკინდი — ჩვეულებრივი ბავშვი არაჩვეულებრივ ოჯახში.

დედენა — უცხო ენა ზოგიერთ ქართულ ოჯახში.

ენის მოჩლექა — ბავშვური თვისება „უფროსების“ საამებლად.

წ ი გ ნ ი — ცოდნის წყარო. ხშირად — წყალი.

გ ა მ ო ც დ ა — ხენა-თესვას ჰგავს: სავაზიფხულოცაა და საშემოდგომოც.

გაკვეთილი — შესაკენებებს შორის შესასვენებლად გამოყოფილი დრო.

ჩ ა ნ თ ა — კენგურუს აქვს, ზოგიერთ მოწაფეს კი — არა.

ზურგჩანთა — პირველი ტვირთი.

ა ი ი ა — ფრაზა, ორმლითაც მოწაფეები „დედაინას“ ეწყენებენ, ყვავილის გადამყიდველები კი — სეზონს.

„ჩაის მაკრეფავი ქალები“
ჰგვია ქათინოს ამ ნახატს,
ბავშვური ხელით დახატა,
თავისი თვალით რაც ნახა.

დაე, სიმღერლის ელექტრონ
ყველაზე ეღინარად ეღინოს! —
აი, ეს ენდა ნორჩ მხატვარს —
ჩვენს გიორგაძე ქათინოს!

„ჯოსეფინანტები მთვარეზე“. —
ასე დარქმა ამ სურათს
ფანანა ჩუბინიძემ —
ხუთწლიანმა ასულმა.

შენი ოცნება, ფანანა,
სულ ბოლო ბანში ავდგა,
საკოსმოს ადამიანი
მთვარის სტუმარი გახდება!

ეს შემზარავი სურათი
დახატა ქათო მესხაძემ:
ტყვეთან ერთად ვეფხვს
ლ ც ვ ც ხ ლ ი ა ლ ი ს ზ ე ს ა ბ ე ლ ბ ა.

უტყვენ კარტიზანები
ჯარიოტული კეთილით.
ბ ო ო ტ ს ა ს ა ლ ი ს ს ა ბ ე ლ ბ ა! —
აი, სურვილი ქათინოს!

სიცილის ვირუსი

ნახ. ლ. მართაშვილისა

— რატომ არა სწერ?
— სასვენი ნიშნების შემდეგ ვისვენებ.

პატარა ბიჭუნა კბილის ექიმთან იყო. შინ რომ დაბრუნდა, დამ ჰკითხა:

— კბილი ისევ გტკივა?

— აბა, რა ვიცი, კბილი ექიმთან დარჩა...

— : —

პაპა: ისტორიაში „სამის“ მეტი ვერ მიიღე, მე ყოველთვის „ხუთიანი“ მქონდა ხოლმე.

შვილიშვილი: ეჰ, პაპაჩემო! მაშინ ხომ ისტორია უფრო მოკლე იყო.

— : —

— ვერა და ვერ ისწავლე ათზე მეტის თვლა. ნეტა, შენგან რა უნდა გამოვიდეს?! — უთხრა დედამ ნაღვლიანად პატარა პეტერს.

— კრივის მსაჯი, დედიკო!



— ხვალაც ზუსტად ამ დროს!

მასწავლებელი: მეტყველების რა ნაწილია კვერცხი?

მოსწავლე: არსებითი სახელი.

მასწავლებელი: რომელი სქესისაა?

მოსწავლე: მაგას ვერ გეტყვით, ვიდრე წიწილა არ გამოიჩეკება.

— : —

— მეც გამიშვი რა, დედიკო, მზის დაბნელების საყურებლად, ყველანი მიდიან!

— წადი, მხოლოდ ცოტა შორს დადექი!

— : —

— დედიკო, დღეს ბედი მეწია.

— რა ბედი, შვილო?

— მასწავლებელს კუთხეში უნდოდა დავეყენებინე, მაგრამ ოთხივე კუთხე დაკავებული აღმოჩნდა.

— : —

ბიჭი იდგა ქუჩაში და ტიროდა.

— რა გატირებს, ჩემო პატარავ? — ჰკითხა გამვლელმა ქალმა.

— ერთი მარკა დავკარგე.

— აჰა, აიღე და დაწყნარდი! — მისცა ფული ქალმა.

ბავშვმა ტირილს უმატა.

— ახლა რაღა გატირებს?

— რომ არ დამეკარგა, ახლა ორი მარკა მექნებოდااა!..

— : —

— მითხარი, შვილო, ყველაზე უფრო რომელი საგანი მოგწონს სკოლაში?

— ზარი, მამიკო!

— : —

— დღესაც „ორიანი“ მიგიღია, შვილო, იქნებ მასწავლებლის შეკითხვას ვერ იგებ?

— არა, მამიკო, ის ვერ იგებს ჩემს პასუხს.

— : —

— რა დღეში ჩაგიგდია ახალი ქუდი! — გაუწყრა დედა სკოლიდან დაბრუნებულ შვილს.

— ბიჭებმა მომხადეს და ფეხბურთის თამაში დაიწყეს.

— მერე, შენ რას აკეთებდი?

— ვიჭერდი.

— : —

— როგორ ფიქრობ, ჰანს, მთვარის მოსახლეობას შეუძლია რადიოს მოსმენა? — ჰკითხა პატარა ფრანცმა ამხანაგს.

— ცხადია, არა. მათ ხომ დამიწება არა აქვთ.

— : —

— მამიკო, დღეს სკოლაში უნდა მიხვიდე, მშობელთა კრებაა ვიწრო წრისათვის.

— როგორ თუ ვიწრო წრისათვის?

— იქნებით მხოლოდ მასწავლებელი და შენ.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ახალგაზრდა ამოცანები

ლაერტი დიდებულიძემ არითმეტიკაში მარტში მიიღო ხუთი ორიანი, ივნისში კი—2 ხუთიანი.

რომელ თვეშია დაბადებული ქეთო მასწავლებელი?

პასუხი: ივნისში.

შესვენებაზე მეშვიდეკლასელთა ოთახში ჩაიმსხვრა ფანჯრის 7 მინა, მერვეკლასელთა ოთახში — 4.

რა ანგარიშით დამთავრებულა შეჯიბრება ფეხბურთში?

პასუხი: შვიდით ოთხზე მერვეკლასელთა სასარგებლოდ.

შრომის გაკვეთილზე მარინემ ნახევარი კილო მურაბა მოიტანა, ლიამ—ერთი კილო ფქვილი, ნათელამ — 300 გრამი კარაქი, ნელიმ — 10 ცალი კვერცხი.

როგორ ჩაიარა გაკვეთილმა?

პასუხი: ტორტმა უფროსების საერთო მოწონება დაიმსახურა.

მეათეკლასელმა გოგონებმა ლილით სალამი არ მისცეს მასწავლებელს. ვინ არის დამნაშავე — სკოლა თუ ოჯახი?

პასუხი: „ჩოლკა“.

მამუკა.

გოგიმ და დათომ დახატეს
აქ მშენებლობის სურათი:
სახლებმა გადაფერდებაც
მოასწრეს გადახურვამდი!

„სწრაფად, იაფად შენება,
ზოგჯერ, ამ შედეგს იძლევა!“ —
ასე უწოდეს ამ ნახატს
პატარა კუკრინიკსებმა.

ხვალინდელი დღე

იდგა ბარაქიანი შემოდგომა. თელავის რაიონის N სოფლის ვენახებში ცურივით დატიკნილი მტევნები გოდრებს ავსებდა.

— ესეც ეგრე! — თქვა მოწინავე მერგოლურმა — გიორგი ესიტაშვილმა და სავსე გოდორი ზურგიდან ჩამოიღო.

— რაო, გიორგი, ხომ არ დაიღალე? — ჰკითხა ბავშვობის მეგობარმა ნიკამ და თან ხურჯინს მოხსნა თავი, რომელშიც გიორგიმ უმალვე შენიშნა ვიოლინო.

— თუ ძმა ხარ, ბრამსის ან სენ-სანსის სავიოლინო კონცერტი გამაგონე და, თუ გინდა, ვენახს მე დაგიკრიფავ, — ვედრებით უთხრა გიორგიმ სიყრმის მეგობარს.

— ვითომ რაო, ჩვენებურსა დამიწუნებ? მაჭავარიანზედა როგორა ხარ?

— მაჭავარიანზედა ცუდი რა მეთქმის, მაგრამ ამ დილით ჩემმა ქალმა მომასმენინა...

— მაშინ, მე რაც მიყვარს, იმას დავუკრავ.

— თანახმა ვარ, მე ხომ ვიცი, შენ მენდელსონში ხარ ჩამწვარი, აი, მეორე ნაწილი პირდაპირ გულში მხვდება, დაიწყე, დაუკა!

ნიკა მაშ რის ნიკა იქნებოდა, რომ გიორგისათვის უარი ეთქვა?

ზვრებში მენდელსონის მელოდია იღვრებოდა, ქვევრებში — ყურძნის წვენი და გულში — სიხმოვნების ნაკადი.

ნიკამ მოწყვეტილივით ჩამოყარა ხელები და თავი დახარა.

— პაგანინი ხარ ნამდვილი, პაგანინი! მაინც სად დაოსტატდი ასე, ჰა? — იკითხა გაოცებულმა გიორგიმ.

— რა გიკვირს, რა, უდაბნოში კი არ გავზრდილვარ, მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს. ამადამ შუბერტაანთ ერმილესთან ჩელოანთ კატო იქნება და ჩაიკოვსკის მეხუთე საფორტეპიანო კონცერტს შეასრულებს.

— აი, აგაშენოს ღმერთმა! მაშ, მეც იქ მოვალ!

* * *

იქნებ ეს ვინმეს ხუმრობად ან პაროდიად მოეჩვენოს? სრულიადაც არა! ეს არის სასიამოვნო სიმართლე! საქმე ისაა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში თელავის რაიონი პირველი იქნება მსოფლიოში მუსიკოსთა რაოდენობით. დიახ, თელავის რაიონი მთლიანად მუსიკოფიცირებულია, აქ თითქმის ყველა ოჯახში პიანინოა, ყველა ბავშვს ხელში, წიგნებთან ერთად, ნოტები უჭირავს, აქ დგამენ ოპერებს, მართავენ კონცერტებს. აქ ყველა სოფელში მუსიკალური სკოლაა! ეს მსოფლიო რეკორდია!

მაშ, მწვანე გზა თელაველ ბავშვთა მუსიკალურ კარიერას!

გ. მ.

№ 335
1969
მიძღვნილია
5.VI
წელი

ქალაქ სენტ-ლუისის (აშშ) სკოლების ინსპექტორმა — მერიტსმა განაცხადა: „ამერიკელი მასწავლებლები იძულებული არიან რევოლვერები ატარონ, რათა თავი დაიცვან შეიარაღებულ მოსწავლეებთან კონფლიქტების დროს“.

„პრავდა“, 14/IV-69 წ.

— ამათ, ქალბატონო, თოფი თუ არ მიუშვირე, ისე ხელს არ ასწევენ!

მხატვრის ნიჭი და ალღო აქვს
ყუბანელიშვილ ლენასა,
ვერავინ ვერ დაუწუნებს
ფუნჯის და ყალმის ენასა;

„ცივი ომი“ რომ ახსენეს
ამისი ახსნა უნდოდა,
აქ გუნდაობა დახატა და
„ცივი ომი“ უწოდა.

მთავარი
რედაქტორის
მოადგილე
გიზო ნიშნიანიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
25/IV-69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-69 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შეკვ. № 1332.
უე № 02174.
ტირაჟი 110.300.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

69-335

индекс 76187



არა! НЕТ! ارا! НЕТ! ارا
НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا! НЕТ! ارا!